ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 94 (19885) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

22 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 117 წლისთავს. აქ შეიკრიბნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის წარმოების მოწინავენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, სხდომას ესწრებიან უცხოელი დიპლომატები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

17 საათია. საზეიმო კრების მონაწილენი ტაშით ხვდებიან ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.

პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე ირლანდიის კომუნისტური პარტიის ეროვნული თავმჯდომარე მ. ო'ტიორდანი, ტუნისის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი მ. ჰარმელი.

აქვე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნები, ლენინური პარტიის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ნ. ელცინმა.**

კრემლის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ საზეიმოდ აღიღერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენება „ლენინიზმი გარდაქმნის თეორიისა და პოლიტიკის საფუძველია“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ი. რიჟკოვმა.**

მოხსენება შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

საზეიმო კრების მონაწილენი ფიზზე ადგნენ და დიდი აღმავლობით შეასრულეს „ინტერნაციონალი“.

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

(საკდესი).

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ნ. Ი. ᲠᲘᲟᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 117 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ.

ᲡᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

დიდი ლენინის დაბადების ახლანდელ წლისთავს აღვნიშნავთ თავისი არსით რევოლუციურ ხანაში, როცა, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა, მილიონობით და ათმილიონობით ადამიანი სწავლობს ყოველ კვირას იმაზე მეტს, ვიდრე წლის ჩვეულებრივი ცხოვრების მანძილზე. ეს ის ხანაა, როცა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება პარტიისა და ხალხის უდიდესი ძალა, რომლებმაც ომალეს ჩახფიჭრით გაბედული, ამქნებით გრანდიოზული, ლენინურ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული გარდამქმნელი მუშაობა.

ლენინის შემოქმედებითი აზრის სიღრმე და უშიშარობა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზის ოსტატობა, მისი ორგანიზატორული ხელოვნება, უსაზღვრო ერთგულება მუშათა კლასის ინტერესებისადმი — ყოველივე ამას ახლა ხორცს ასხამს პარტია სტრატეგიული გეგმებითა და გადაწყვეტილებებით. მათი მიზანია მკვეთრი გარდაქმნები, ქვეყნის მთელი ცხოვრების თვისებრივი განახლება, ჩვენი განვითარების ახალ ისტორიულ ეტაპზე დიდი ოქტომბრის საქმის განგრძობა.

ყოველი ნაბიჯი გარდაქმნის გზაზე გვარწმუნებს, თუ რაოდენ საჭიროა ჩვენს საქმეებს ვამოწმებდეთ ლენინის მიხედვით, ვეფაფეზოდეთ ლენინის მოძღვრებას და მთელ მის სიმდიდრეს, რომელიც საზოგადოების ცოცხალი მოძრაობის დიალექტიკას ასახავს.

ლენინის წლისთავი სადღესასწაულო თარიღიც არის და დამავალდებულებელიც რევოლუციურ კალენდარში. მით უფრო დამავალდებულებელია დღეს, როცა იგი ემთხვევა სხვა პოლიტიკურად მნიშვნელოვან ნიშანსვეტებს, რომლებიც ჩვენი განვითარების მიმდინარეობის საზომებია. ახლოვდება სოციალიზმის დირსშესანიშნავი იუბილე—ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავი. სრულდება პარტიის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაში შემობრუნებითი მოვლენის — ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დღის ორი წელი. გავლილია ისტორიული XXVII ყრილობისა და მისი საპროგრამო იდეების, მისი სიმართლის გაკვეთილების მიღების შემდეგ მუშაობის ერთი წელი. და, ბოლოს, ახალი ჰორიზონტები პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის საქმიანობისათვის დაისახა ახლა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შორს გამიზნული გადაწყვეტილებებით. მან შეგვიარაღა გარდაქმნის თეორიითა და პოლიტიკით, ყრილობის გზი გადაიტანა პრაქტიკულ საქმეთა სიბრტყეში სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე.

ერთი სიტყვით, ამ საზეიმო დღეს საჭიროა თვალი გადავავლოთ განვლილ გზას და, როგორც ასეთ შემთხვევებში ლენინი მოითხოვდა, მთელი ყურადღება მივაპყროთ ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანებს.

რევოლუციური განახლების ლენინური სტრატეგია

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ! ღრმა გარდაქმნა ჩვენს საზოგადოებაში თავისი გამაახლებელი მნიშვნელობით იმ ეპოქიდან, რომელიც ოქტომბრის რევოლუციურ გარდაქმნებს თუ შეეხება, როცა პარტიამ, ხალხის უფართოესმა მასებმა ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყეს სოციალისტური მშენებლობა.

ლენინი მაშინ ამბობდა, რომ „ეუსეთის ბოლშევიკებს „უხდებათ განუზომლად ახალი საქმის კეთება“. მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები ითქვა, ათწლეულები გავიდა. სოციალიზმი ჩვენი სინამდვილე გახდა. მან გაანადგა მშრომელი ადამიანი, გააუმჯობესა მისი კეთილდღეობა, უზრუნველყო მისი სოციალური დაცვა, ჩაუნერგა ხვალინდელი დღის რწმენა. მან ჩვენი სამშობლო გადააქცია მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი აქვს, ფრონტგაჯერილ კულტურის ქვეყანად, მაღალგანვითარებულ საზოგადოებად, ხალხთა ურღვევ ძმურ კავშირად.

ბევრი რამ არის მიღწეული, ეჭვგარეშეა კოლოსალური გამოცდილება, მაგრამ კვლავინდებურად ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი — ეს არის „განუზომლად ახალი საქმე“. იმდენად ახალი, რომ დასახული გზით წინსვლა შეიძლება მხოლოდ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, ტაქტიკური ლოზუნგების, ხოლო თუ საჭიროა, სტრატეგიული დებულებების მუდმივი სრულყოფისა და განახლების პირობით.

ასე გვასწავლის ისტორია, ასე გვასწავლიდა ლენინი. თვითონ ამ მტკიცე მოქმედების, პარტიის პოლიტიკის მკვეთრი შემობრუნების დიდებული მაგალითები მოგვეცა, როცა იგი აპყავდა ხალხის ცხოვრების შემცველი მოთხოვნილებების დონეზე. სწორედ ლენინის ამ მაგალითს მიჰბაძეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ. ცენტრალურმა კომიტეტმა 1985 წლის აპრილში, როცა დავადექით ქვეყნის ბედისათვის ბრძოლას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს.

აპრილის პლენუმზე დაისახა ფუნდამენტალური ხასიათით რევოლუციური ახალი სტრატეგიული მიზნები. ამათ მიღწევისათვის საჭიროა ფუნდამენტურად ვიმუშაოთ საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის გარდასაქმნელად, კვლავ და კვლავ შევეუსაბამოთ ისინი ბარე საწარმოო ძალებს, ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს. პლენუმმა პარტიასა და მთელ ქვეყანას მიზნად დაუსახა მუდმივი ძიება, რომელიც გამორიცხავს ისეთ მდგომარეობას, როცა ჩვენ, განვთავისუფლდით რა ერთი დოგმებისაგან, შეიძლება მოვხვდეთ სხვათა ტყვეობაში.

პარტიამ მკაცრი შეფასება მისცა უძრაობის ტენდენციებს, ლენინური პრინციპებისაგან გადახვევას, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ხდებოდა, მან, როგორც ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, გამოიჩინა სიმტკიცე, „ჩასწვდომოდა ნეგატიური პროცესების მიზეზებს და შეიმუშავებინა ღონისძიებანი, რომლებიც აჩქარებს ჩვენს წინსვლას. თავიდან გვაცილებს შეცდომებს ის გამეორებას, შესაძლებლობას გვაძლევს ვიაროთ წინ და მხოლოდ წინ, ამასთან საქმით დავამტკიცოთ მუდმივი თვითსრულყოფის უნარი, ორგანულად რომ მოსდგამს სოციალიზმს“.

ორი წელია, რაც გარდაქმნა დაიწყო. მის პირველ შედეგებს მივაკუთვნებთ უწინარეს ყოვლისა ცვლილებებს საზოგადოებრივ ატმოსფეროში. თუ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ამოძირკვული, ყოველ შემთხვევაში, საფუძვლიანად არის შეკვეცილი ფეზები, რომლებიც კვეთავს აპათიას, გულგრილობას, უსულგულობას. განახლების შემოქმედებითს მუშაობას დაინტერესებით დაეწყფნენ ხალხის მასები, შრომელი ადამიანები სულ უფრო მეტად მიიჩნევენ თავს ცხოვრების ბატონ-პატრონებად, გრძნობენ პასუხისმგებლობას თავიანთი სახელმწიფოს აწმყოსა და მომავლისათვის, სოციალიზმის ბედისათვის. მათ მთელი სულითა და გულით, ღვიძლ საქმედ აღიქვეს გარდაქმნა.

ჯერ არ გაგვნელებია ლენინური კომკავშირის ყრილობით გამოწვეული შთაბეჭდილება და განსაკუთრებით სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ მატულობს საბჭოთა ახალგაზრდობის ენთუზიაზმი. ჩვენს გარდამქმნელ მუშაობაში მას შეაქვს ახალგაზრდული მგზნებარება და ენერგია, ავლენს თავდადებას და მზად არის იკისროს ყველაზე დიდი, ყველაზე პასუხსაგები საქმეები, რომლებიც XXI საუკუნისაკენ საავალ გზაზე გელის. მათ, ახალგაზრდებმა, უნდა განაგრძონ პარტიის მიერ დაწყებული გარდაქმნის საქმე.

ერთი სიტყვით, გარდაქმნა საზოგადოების სიღრმეში, ფართო ფენებში აღწევს.

ამასთან დაკავშირებით აი, რა უნდა გავიხსენოთ. 1918 წლის იანვარში, საბჭოების III ყრილობაზე, ლენინმა აღნიშნა, თუ რა ნაყოფი გამოიღო საბჭოთა ხელისუფლებამ, და განაცხადა: „ჩაიხედეთ მშრომელი ხალხის წიაღში, მასების შუაგულში, იქ დუღს ორგანიზაციული, შემოქმედებითი მუშაობა... განახლებული, რევოლუციით დაკანონებული სიცოცხლე“. ეს, ლენინის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ვინაიდან პარტიის უმთავრესი ამოცანა სწორედ ის არის, რომ ათმილიონს მოლიონები, სიცოცხლე შთაბეროს, ლენინის განსაზღვრების თანახმად, „რევოლუციის, აღორძინებისა და განახლების მთვლემარე დიად ძალებს“.

ასეთი პოზიციებიდან ვიფასებთ რა ახლა მომდინარე ცვლილებებს, შეგვიძლია ვთქვათ: მთავარი ის არის, რომ ქვეყანამ გაიღვიძა, ამოძრავდა, და თუმცა ჯერ არ მომხდარა ის თვისებრივი გარდატეხა, რომლისთვისაც ვიღვწით — ამას დრო სჭირდება, — მაგრამ დიდი პოლიტიკური, სულიერი და ზნეობრივი მნიშვნელობის ცვლილებები ხდება. ისინი აშკარად იგრძნობა. ეს პარტიის დიდი გამარჯვება, საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მოხალისეობრივია.

ახორციელებს რა უდიდეს გარდაქმნას საზოგადოებაში, პარტია გამოყოფს თავიდან მიმართულებებს, საკვანძო უბნებს, რომლებსაც მაქსიმალური მეცადინეობა უნდა მოხმარდეს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკა — ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველი. ახლა აქ ჩაღდება ყველაზე დაძაბული, უჩვეულოდ ძნელი მუშაობა, რომელიც საზოგადოების ცხოვრების სიღრმისეულ შრეებს ეხება. ეკონომიკაში მთელი გარდაქმნის მიზანია მისი პოტენციალის გაძლიერება, ახალი, კიდევ უფრო მასშტაბური პოლიტიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნა.

რა არის გარდაქმნა ეკონომიკაში? უწინარესად ეს არის სამეურნეო ურთიერთობის მთელი სისტემის გარდაქმნა, რომელიც ფართო ასპარეზს უშლის მასების ინიციატივასა და შემოქმედებას. ეს არის დინამიკური განვითარება ინტენსიფიკაციის გზებზე, ზრდის ტემპის თვისებრივად ახალი შინაარსით შევსება. იმაზე, თუ რამდენად რადიკალურად, სწრაფად და მოფიქრებულად განვახორციელებთ გარდაქმნას ეკონომიკაში, ბევრად იქნება დამოკიდებული რევოლუციური განახლება საზოგადოებაში.

1985 წლის აპრილის შემდეგ განვლილი დრო იყო გარდაქმნის ვრცელი პროგრამის შემუშავების, დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების პიროიდი, რომლებიც შეეხო საწარმოო ძალებსაც და წარმოებითს ურთიერთობასაც. ადამიანები თანდათან სწავლობენ ახლებურად ფიქრსა და მოქმედებას. გროვდებოდა გამოცდილება, იხვეწებოდა მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მეთოდები, თანამიმდევრულად ფართოვდებოდა მათი გამოყენების სფერო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველი ნაბიჯი გადავდგით გზის ამ მეტად რთულ მონაკვეთზე. ახლა შემდგომი, კიდევ უფრო პასუხსაგები და რთული ნაბიჯი გვაქვს გადასადგმელი. განვაგრძობთ რა სრულყოფის პროცესს, უნდა გავშალოთ მუშაობა, რათა ცხოვრებაში დავნერგოთ ყველაფერი, რაც ჩავიფიქრეთ, შევამოწმეთ და გავსინჯეთ, რასაც ახლა პრაქტიკული რეალიზაციის ფართო გზა აქვს გახსნილი.

ღრმა გარდაქმნების ფრონტი დღითი დღე ფართოვდება. ყველა უბანზე წარმოებს სამეურნეო მშენებლობის მრავალპლანიანი მუშაობა. გარდაქმნის რიტმი სულ უფრო მეტად იგრძნობა კონკრეტულ შრომითს საქმეებსა და მიღწევებში. გარდაქმნა მტკიცედ იკიდებს ფეხს კოლექტივების ცხოვრებაში, ამსხვრევს შეფერხების მექანიზმებს და მოძველებულ სტერეოტიპებს, მუშაობს სოციალიზმისათვის.

ყოველივე ეს უკვე იძლევა გარკვეულ უკუგებას, რომელიც, უეჭველია, თანდათან გაიზრდება. მიღწეულის სრულიად გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოებს სამეურნეო სიტუაციის საერთო გაუმჯობესება, ძალას იკრებს დადებითი ტენდენციები. შარშან, მაგალითად, მრეწველობის განვითარების ტემპი უსწრაფესი იყო განვლილ ცხრა წელიწადში. სულ უფრო მეტად ვლინდება ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ფაქტორები. მაგალითად, 1986 წელს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 1,5-ჯერ გადააჭარბა მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მაჩვენებელს.

დადებითი ცვლილებები მოხდა დარგების მუშაობაში, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილთა შორის იყვნენ. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, შავ მეტალურგიას, ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობას. უკეთესობისაკენ ცვლილებები სულ უფრო მეტად იგრძნობა აგროსამრეწველო კომპლექსში. 1986 წელს მოწეულია ბოლო რვა წელიწადში მარცვლეულის ყველაზე უხვი მოსავალი. მატულობს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. შეინიშნება ძვრები სოციალურ სფეროში.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. გულდაჯერებით უნდა ვიაროთ წინ, პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ გარდაქმნის идеები. და აქ ჯერ კიდევ დასაძლევი გვაქვს ბევრი სიძნელე, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა. დასახულიდან ბევრი რამ ხელა ხორციელდება, ზოგჯერ კი ნაწილობრივ და არათანამიმდევრულად. ბოლო წლებისათვის ტიპური უძრაობის ინერცია ჯერ კიდევ ყველგან არ არის დაძლეული. მთელ რიგ დარგებში კვლავ მშვიდობიანად მეზობლობენ, ერთმანეთს გადასჭდობიან ახალი და ყავლგასული, ძველი. საჭიროა ჩვენი კადრების დიდი პოლიტიკური სიმწიფე, მთელი ამ პროცესების დიალექტიკის ღრმა გაგება საიმისოდ, რომ უფრო ზუსტად დავიცვათ გენერალური მიმართულება, განუზრელად ვიაროთ პარტიის მიერ შემუშავებული გაბედული ნოვატორული გარდაქმნების კურსით.

კომკავშირის XX ყრილობაზე გამოსვლისას მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენთვის რთული იქნება მეთორმეტე ხუთწლედი, და უწინარეს ყოვლისა უახლოესი 2-3 წელიწადი, როცა უნდა მივაღწიოთ ღრმა რადიკალურ ძვრებს სახალხო მეურნეობაში გარდაქმნის განმსაზღვრელი ყოველი მიმართულებით. ახლანდელ ხუთწლედს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. დადაუდებელ ამოცანათა გადაწყვეტასთან, ახალი სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სისტემის დახვეწასთან ერთად საფუძველი უნდა ჩავუყაროთ პარტიის XXVII ყრილობაზე მიღებული გრძელვადიანი პროგრამის შესრულებას.

ამრიგად, ჩვენი ეკონომიკა მოახდენს გადასვლას, და, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქ გადასვლა მეტად მძაფრი და ძნელია, იგი მოითხოვს სხვა წესებს, ძალთა სხვანაირ განაწილებასა და გამოყენებას, ყურადღებას, ფსიქოლოგიის სხვაგვარ წარმართვას და სხვ“.

საგულისხმოა ამ მხრივ 1987 წელი. იმაზე, რის გაკეთებას შევძლებთ წელს, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეკონომიკის განვითარება ხუთწლედის დავალებების ზუსტი შესაბამისობით განხორციელდება პარტიის მიერ შემუშავებული მთელი რიგი პრინციპულად ახალი მიდგომების, მეურნეობრიობის ელემენტების პრაქტიკული რეალიზაციის მეშვეობებში. უნდა ავამოქმედოთ ზრდის სიღრმისეული ფაქტორები ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების უზრუნველყოფა, საინვესტიციო პროცესის გარდაქმნა, სასურსათო პოტენციალის უფრო სრულად გამოყენება.

ასე რომ, 1987 წელი ის წელია, რაც ეკონომიკის გარდაქმნის განხორციელებაში გადამწყვეტ მიჯნებს უნდა მივაღწიოთ, რომელთა სიმაღლიდან ნათლად მოჩანს მომავალი მუშაობის მაგისტრალური მიმართულებანი. ღრმად უნდა გავიაზროთ, რომ სწორედ წელს უნდა ჩაბაროს მან სიმწიფის გამოცდა. სამეურნეო მშენებლობის ყოველ უბანზე ეს გამოცდა ღირსეულად უნდა ჩავაბაროთ.

ამხანაგებო! დაჩქარება რომ ეკონომიკური ზრდის მტკიცე კანონზომიერებად იქცეს, სრულად უნდა დავეუფლოთ მის გრძელვადიან ფაქტორებს, და უპირველესად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. ლენინი ამბობდა: „უნდა დავეუფლოთ მთელ მეცნიერებას, ტექნიკას, მთელ ცოდნას, ხელოვნებას. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრების აშენებას ვერ შევძლებთ“. სწორედ ასეთი ლენინური მიდგომა იძენს გარდაქმნის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მთელ მსოფლიოს უნდა დავუმტკიცოთ სოციალიზმის უპირატესობანი და უსაზღვრო შესაძლებლობანი, უნდა მივაღწიოთ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მიჯნების პროდუქციის, შრომის ნაყოფიერების, ეფექტიანობის, ხარისხის მიხედვით.

გარდაქმნის პირობებში ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სხვაგვარად მივუდგეთ ტრადიციონალურ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას. ეს პოლიტიკა ნამდვილად რევოლუციური და დიდფუტკრიანი უნდა იყოს. საჭიროა, რომ მისი რეალიზაცია უზრუნველყოფდეს ჩვენი საწარმოო პოტენციალის სწრაფ და ძირეულ განახლებას.

სკკპ XXVII ყრილობამ ზუსტად განსაზღვრა, რომ დღეს მთავარია რეკონსტრუქციის კურსის თანამიმდევრული განხორციელება, საწარმოო აპარატის ტექნიკური განახლება. ეს კურსი კამპანია კი. არა, პარტიის განუხრელი თანამიმდევრული გეზია, რომლის მიზანია მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. ორგანულად დაუკავშიროს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ღრმა გარდაქმნებს. გაბედულად და მტკიცედ უნდა ვიაროთ წინ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებებით.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება მეცნიერებატევად წარმოებებს, მათ შორის მანქანათმშენებლობას, თვისებრივად ახალი გამოთვლითი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის მთლიანი სისტემების, ახალ სახეობათა მასალების შექმნას. ყოველივე ეს კარდინალური ტექნიკური განახლების საიმედო საფუძველია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანთა გადაწყვეტისათვის ჩვენ გვაქვს მთავარი რამ — საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილი მძლავრი მეცნიერული პოტენციალი. მაგრამ გულახდილად ვთქვათ, საზოგადოების კოლოსალური ინტელექტუალურ ძალებს მთლიანად არ ვიყენებთ. ეს ეროვნული სიმდიდრის, ჩვენი უდიდესი მონაპოვრის შეუფასებელი ფლანგვაა. პარტია სახავს ამოცანას ყოველმხრივ გავააქტიუროთ მეცნიერულ მიდგომა გამოყენება სახალხო მეურნეობაში, უზრუნველვყოთ წინ გაჭრა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებებით.

უფლება გვაქვს ფუნდამენტური მეცნიერებისაგან მოველოდეთ საიმედო უპირატეს მარგაგეთს, დიდ უკუგებას, რათა მისმა ნამუშევრებმა უხვი ნაყოფი გამოიღოს უკვე უახლოეს დროში, რათა კვლევის სასარგებლო შედეგები არ გაიყინოს ანგარიშებისა და პუბლიკაციებს ფოლიანტებში. ჩვენი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროდუქცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიყენოთ საქმეში.

ახლა ხორციელდება ფუნდამენტური, უმაღლესი სასწავლებლის, დარგობრივი მეცნიერების გარდაქმნის, მათი ძალების გაერთიანების, შეჯიბრების პრინციპების ფართო გამოყენების, საწარმოო ძალების ძირეულ გარდაქმნაში წვლილისათვის ყოველი სამეცნიერო კოლექტივისა და ყოველი მეცნიერის პასუხისმგებლობის გადიდების ღონისძიებათა კომპლექსი.

საკითხთა საკითხი ახლა ის არის, რომ ნამდვილად მივაღწიოთ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას. სწორედ ამ შესაყარზე გვაქვს ყველაზე დიდი ხარვეზები. და უნდა გავითვალისწინოთ, რომ არა მარტო მეცნიერებაა ვალში წარმოების წინაშე, არამედ წარმოებასაც აღრეს მეცნიერების ვალი. იგი ანარდამაკმაყოფილებლად ითვისებს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, იმ მიღწევებსაც კი, რომლებიც თვით წარმოების რევოლუციას ახდენენ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიზანია პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლება და ხარისხის გაუმჯობესება. ხარისხი ყველა ჩვენი მიღწევის სინთეზი უნდა გახდეს. ეს ეხება ტექნიკურ идеებსა და საპროექტო ნამუშევრებს,

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ვ. ᲘᲐᲠᲣᲖᲔᲚᲡᲙᲘᲡ

21 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის შეხვედრა.

მ. ს. გორბაჩოვმა სტუმარს აცნობა, თუ როგორ ხორციელდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გადაკეთებისა და დემოკრატიზაციისათვის გამიზნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსი. ამ კურსის რეალიზაციაში ვებმიგიან მშრომელთა ფართო ფენები, მას უკავშირდებენ თავიანთ იმედებს, რომ კიდევ უფრო აყვავდება სოციალისტური სამშობლო, თვისებრივად გაუმჯობესდება საბჭოთა ხალხის ცხოვრება.

ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის საზოგადოებრიობა მხურვალე დაინტერესებითა და უკრადღებით აღევნებს თვალს გარდაქმნის მიმდინარეობას სსრ კავშირში, თავის საბჭოთა ამხანაგებს უსურვებს წარმატებას ამ ისტორიულ მუშაობაში, რომელიც შთამაგონებელი მაგალითია პოლონეთისთვისაც სოციალიტაბური განახლების პოლიტიკის განხორციელებაში.

შეეხო რა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეცადინეობას კრიზისის შედეგების დაძლევისათვის, ვ. იარუზელსკიმ აღნიშნა პოზიტიური ძვრები და გადასაწყვეტი საკითხები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში. პირველად უკანასკნელი წლების მანძილზე შეიმჩნევა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის რიგების ზრდა, ამასთან უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის წარმომადგენლთა მიღების გზით. ამავე დროს უნდა დაძლიონ როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის ბევრი სიძნელე. თუმცა დასაღეთი დარწმუნდა, რომ პოლონეთზე ძალისმიერი მეთოდებით ზეგავლენა უპერსპექტივოა, მაგრამ მის წინააღმდეგ განაგრძობენ სხვადასხვა დასკვრმინაციული ზომების გამოყენებას. გამოთქვა რა კმაყოფილება პოლონეთის ცხოვრებაში დადებითი ცვლილებების გამო, მ. ს. გორბაჩოვმა პოლონელ კომუნისტებს, მომავ პოლონელ ხალხს უსურვა ამ ამოცანის ამოხსნა.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა მოსკოვში, 22 აპრილს სამშობლოში გაემგზავრა.

მასთან ერთად გაემგზავრნენ პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს პოლონელ ამხანაგებთან ურთიერთმოქმედების გაღრმავებისათვის, განამტკიცებს მეგობრობას სოციალისტურ პოლონეთთან.

შეხვედრამ გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

• • •

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა მო

ლენინიზმი გარდაქმნის თეორიისა და პოლიტიკის საფუძველია

(გაგრძელება)

მანქანებისა და მასალების კონსტრუქციებს, შრომის ორგანიზაციასა და ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ყოველი შრომითი კოლექტივის უპირველესი საფიქრალი უნდა გახდეს ზრუნვა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, იმისათვის, რომ ეს მუშაობის ნორმა იყოს. ასე აყენებს პარტია ახლა ამოცანას.

ხარისხის პრობლემა ჩვენთვის უაღრესად მწვავე პრობლემაა. ეკონომიკურიდან იგი პოლიტიკურ საკითხად გადაიქცა, იმ საკითხად, რომელიც ეხება სოციალიზმის აღმშენებლობითს უნარს. საუკეთესო ხარისხისათვის საბრძოლველად პარტიამ მთელი ხალხი დარაზმა. განხორციელდა სერიოზული ორგანიზაციულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რომლებიც დაბრკოლებას უქმნის მოძველებულ, უხარისხო პროდუქციას, ახალებს კეთილსინდისიერ მუშაობას.

იძულებული ვართ გადავდგათ ისეთი მკაცრი ნაბიჯი, როგორიც არის სახელმწიფო მიღების შემოღება. იმ საწარმოებში, იმ დარგებში, სადაც პროდუქციის ხარისხზე მუშაობა ხელმიშებული აღმოჩნდა, ეს პროცესი მძიმედ მიმდინარეობს, მთელ რიგ შემთხვევებში კი — მტკივნეულად. უწინარეს ყოვლისა — მანქანათმშენებლობაში. უფრო მკაცრი მოთხოვნების შედეგად ამ კომპლექსის მრავალ საწარმოში პირველ ყვარტალში უაღრესად ძნელი ვითარება შეიქმნა. მანქანათმშენებლებმა სახალხო მეურნეობას დააკლეს ასმილიონნახევი მანეთის პროდუქცია. სიტუაცია ახლა სწორდება. მაგრამ ხარისხისათვის ბრძოლის პირველი გამოცდილებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, ვინაიდან ამ საქმეში შემწყნარებლობა არ შეიძლება.

ჯეროვნად უნდა დავაფასოთ მშრომელთა დიდი შეგნება, მოქალაქეობრივი სინდისი. ისინი ღრმა გაგებით ეკიდებიან განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც საბოლოო ანგარიშით თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას. ემსახურება. ამავე დროს ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სამეურნეო ხელმძღვანელებს შრომის ყველაზე თანამედროვე საშუალებებით, უახლესი ტექნოლოგიებით მუშათა კლასის შეიარაღებისათვის, შრომების ზუსტი ორგანიზაციისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ამოცანაა სრულად ჩავაყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხარისხისათვის ბრძოლის სამსახურში.

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია მთელ თავის აზრებსა და მოქმედებას უქვემდებარებს კეთილშობილურ მიზანს — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, პიროვნების განვითარებისა და აყვავების უზრუნველყოფას. ეს საპროგრამო მითითება განსაზღვრავს ეაჩქარების მთელ არსს. ადამიანის კეთილდღეობისათვის, რომელსაც თავისი საარსებო მისწრაფებები, მოთხოვნილებები და სიხარუნავი აქვს, პარტია დაადგა საზოგადოებაში კარდინალური გარდაქმნის მტკიცე კურსს.

სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცება, მისთვის თანამედროვე სახის მინიჭება, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მოწინავე საზოგადოებრივ წყობას, დღეს ღრმა გარდაქმნათა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მთავარია უმოკლეს დროში აღმოვფხვრათ წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარებას შორის წარმოშობილი სხვაობა. ჩვენი ამოცანაა ამ მტკივნეული დისპროპორციის ლიკვიდაცია, რომელიც აფერხებს წინსვლას.

პარტია მოითხოვს სოციალური მიმართულების გაძლიერებას მთვლის ყველა დონის მუშაობაში. ბოლო უნდა მოეღოს ამ საკითხების ჯეროვან შეუფასებლობას, ზოგჯერ კი მათდამი აგდებულ დამოკიდებულებას. და აქ უნდა ვიმოქმედოთ მტკიცედ, გაქანებით, ამასთან სასიკეთო პირობები შევქმნათ როგორც შრომის ნაყოფიერების, ისე მშრომელთა ცხოვრებისა და ყოფისათვის. ეს ყველგან უნდა იქცეს თითოეული ხელმძღვანელის ნორმად, კანონად. იმას, ვინც მას არღვევს, არავითარი უფლება არა აქვს იდგეს შრომითი კოლექტივის სათავეში.

პარტია და მთავრობა მტკიცედ იღვწიან, რათა საბჭოთა ადამიანებმა რაც შეიძლება სწრაფად იგრძნონ გარდაქმნის შედეგები, ცვლილებანი უკეთესობისაკენ სოციალურ ცხოვრებაში. 1986 წელს აშენდა უფრო მეტი საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სავადმყოფოები, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ამ პრობლემის სიმწვავის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. ამას წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება არსებითად დაჩქარდეს ხუთწლედის დარჩენილ წლებში ბინების, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მშენებლობის ტემპი.

ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული ინიციატივასა და მუშაობის ორგანიზაციაზე როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მაგრამ არცთუ იშვიათად სწორედ ეს გვაკლია ხოლმე. გარკვეულ დადებით ძვრებს რომ აღვნიშნავთ, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ყველგან მოხდა მტკიცე შემობრუნება სოციალური სფეროს განვითარებაში. მრავალ დარგში, რესპუბლიკასა და ოლქში არ შესრულებულა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმები, მთლიანად ვერ ითვისებენ კაპიტალდაბანდებებს, საქსპლოატაციოდ გადასცემენ დაბალხარისხოვან ბინებს, საბავშვო ბაღებსა და სხვა ობიექტებს. ცხადია, აქ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გარდაქმნილა.

სოციალურ-კულტურული განვითარების დარგში სხვა ამოცანების მნიშვნელობის დაუკნინებლად უნდა ვთქვათ, რომ ახლა უმწვავესი პრობლემაა ბინები.

ჩვენ დიდი ვალდებულება ვიკისრეთ ხალხის წინაშე — 15 წლის მანძილზე გადაეწყვიტოთ ეს საკითხი. აქ უნდა ავამოქმედოთ ყველა შესაძლებლობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მთელი არსებული რესურსები: სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, შრომითი კოლექტივების სახსრები, გავაფართოოთ კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინების მშენებლობის მასშტაბი. სავსებით ცხადია, რომ ეს ამოცანა საყოველთაო-სახალხო ხდება და ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობის მიუღებლად მისი გადაწყვეტა უაღრესად გაგვიძნელდება.

ყველგან უნდა გვქონდეს მოქმედების ზუსტი და კონკრეტული პროგრამა, განვსაზღვროთ მისი განხორციელების ეტაპები. მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზაა მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლის შედეგების აქტიური გამოყენება. ეს საშუალებას მოგვცემს მოქმედ სიმძლავრეთა უფრო სრული უკუგების გზით უარი ვთქვათ ახალ საწარმოო შენებლობაზე. ხელახლა გავანაწილოთ რესურსები შრომითი კოლექტივების მომწიფებული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

მატულობს მეცადინეობა სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა და მომსახურების გადიდებისათვის, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სახალხო მოხმარების სტრუქტურაში არსებით ძვრას ხელი შეუწყო ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების არსებითმა შემცირებამ — თითქმის ორჯერ ორი წლის მანძილზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამასთან დაკავშირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, რომლის შედეგები უკვე შეინიშნება წარმოებაშიც, ყოფაშიც.

ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელება პარტიის მტკიცე გეზია, და მას თანამმედევრულად განვახორციელებთ. მისი წარმატებისათვის საჭიროა მთელი საზოგადოების ძალისხმევა. მისი კეთილდღეობის, ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობის ერთადერთი წყაროა მშრომელთა სულ უფრო მზარდი წვლილი საერთო საქმეში, საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებაში. თითოეული ადამიანის შრომა უნდა შეგაფასოთ მისი კონკრეტული შედეგის მიხედვით. ეს არის ჩვენი სოციალური სამართლიანობის საფუძველი. იგი შეუთავსებელია გათანაბრებასთან, მან რეალური უპირატესობები უნდა შეუქმნას იმ კოლექტივებსა და მშრომელებს, რომლებიც მუშაობენ შემოქმედებითად, დიდი უკუგებით. სოციალური სამართლიანობის პრინციპი უნდა განვახორციელოთ მთელი მისი სისრულით, ადამიანის ყველა მოთხოვნილების მიხედვით, და არა მარტო შრომის ანაზღაურების საკითხებში.

ადამიანის ინტერესებს, მისი ინიციატივის განვითარებას უპასუხებს შრომითი საქმიანობის კოოპერაციული და ინდივიდუალური ფორმების გაფართოება. თანამედროვე პირობებში პარტია უფრო ღრმად იაზრებს, აკითარებს და პრაქტიკულად იყენებს ლენინის იდეებს კოოპერაციის შესახებ. მას მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის სულ უფრო მრავალფეროვანი მოთხოვნილებების უზრუნველყოფაში. კოოპერაციული ფორმები გახდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სახელმწიფო სისტემის არსებითი დამატება. ამ გზაზე უნდა გავაუქმოთ ყველა უსაფუძვლო შეზღუდვა.

უაღრესად საჭიროა, რომ ყოველივე ახალი, რაც შედის სოზგადოების სოციალურ ცხოვრებაში, ყველგან უწევდნენ ქმედით მხარდაჭერას და ფართოდ ავრცელებდნენ, რომ ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველთვის იყოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში.

ამხანაგებო! გარდაქმნის საქმის წინ წაწევა შეიძლება მხოლოდ ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზაზე. იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვადასხვა მადესტაბილიზებელი ფაქტორის, მათ შორის ბუნებრივი ფაქტორის გავლენაზე. რას გვიჩვენებს პირველ კვარტალში სახალხო მეურნეობის მუშაობა? იანვარში დაშვებული იყო მკვეთრი დაქვეითება. იგი იმის შედეგი გახდა, რომ მრავალი დარგი და მოკავშირე რესპუბლიკები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ახალ, უფრო მკაცრ პირობებში მუშაობისათვის, თავიდან ვერ მოიშორეს წარსული ტვირთი, ეკონომიკის ცოცხალ ქსოვილს ვერ მოაცილეს უყაირათობის ხორცმეტები. მკაცრმა ზამთარმა მხრივ უფრო მკაფიოდ გამოავლინა ჩვენი ნაკლოვანებები, გააღრმავა ისინი.

განხორციელებული ღონისძიებების მეოხებით საქმის ვითარება პირველ კვარტალში არსებითად გამოსწორდა. ეს მოწმობს იმას, რომ სტაბილური ზრდის შესაძლებლობანი გვაქვს. რა თქმა უნდა, გარდაქმნა ეკონომიკაში, ისევე როგორც ყოველგვარი მტკიცე მსვლეგა, რთული, ძნელი საქმეა. მაგრამ უკან დახვევა არ შეიძლება. მით უმეტეს ვერ შევუოიგდებით ძველი მეთოდებისადმი, ახლის მიუღებლობისადმი მუშათა ნაწილის ერთგულებას. ქვეყნა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ყველა შრომითი კოლექტივის, თითოეული მშრომელის სრულ უკუგებას, საგეგმო დავალებებისა და ვალდებულებების განუხრელ შესრულებას.

შრომის ნამდვილ დღესასწაულად იქცა ლენინის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობა. ას სამოც მილიონამდე მუშამ, კოლმეურნემ, მოსამსახურემ, პენსიონერმა, მოსწავლემ გამოავლინა დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, დამკვრელური შრომით აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

ჩვენი ამოცანაა უდრეკად ვიაროთ არჩეული გზით შემოქმედებითი აღმშენებლობის ატმოსფეროში, მივაღწიოთ, რომ გარდაქმნა შეეხოს ქვეყნის უკლებლივ ყველა კუთხეს, თითოეულ შრომითს კოლექტივს, თითოეულ ადამიანს. გარდაქმნისათვის უნდა ვიბრძოლოთ ლენინურად, მგზნებარედ, შეუპოვრად — ისე, როგორც ბოლშევიკები იბრძოდნენ რევოლუციისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

სოციალისტური დემოკრატია საბჭოთა საზოგადოების განვითარების დაჩქარების მთავარი გერკეტია

ამხანაგებო! ცხოვრებამ გვაჩვენა უფრო ღრმად გვესმოდეს, განსაკუთრებით დიდად ვაფასებდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ სოციალიზმი, როგორც ამას დაუღალავად იმეორებდა ლენინი, მასების ცოცხალი შემოქმედებაა. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ინტერესები დაბჯითებით მოითხოვს პირობებს საიმისოდ, რომ თავისუფლად გაიშალოს ეს შემოქმედება, აღმოიფხვრას ყოველივე, რამაც შეიძლება ჩაახშოს ან შებოჭოს ხალხის ინიციატივა. ეს საკვანძო ამოცანაა, სწორედ ასე დაადგენს საკითხი ცენტრალური კომიტეტის ნაკვრის პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავს რადიკალურ დემოკრატიზაციას სისხლსავსე დემოკრატიის განვითარება პარტიას მიაჩნია ჩვენი პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო პრაქტიკისა და სულიერი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნის მიზნადაც და მთავარ ბერკეტადაც.

ბევრმა რამემ მოგვამზადა, მჯიდროდ მიგვაახლოვა იმასთან, რომ მტკიცედ მოვკიდოთ ხელი სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას. 1985 წლის აპრილიდან პარტიის ყოველდღიური მუშაობა იგებოდა ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სრულყოფის, საჯაროობის გიფარეთოების აუცილებლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული დასკვნების გათვალისწინებით. აუცილებელი ცენტრში დადგა მთლიანად დემოკრატიის პრობლემა. ასეთი დასკვნისათვის გვიბიძგებდა წარსულის გაკვეთილები — როგორც შთამაგონებელი, ისე მძიმე და მწარე გაკვეთილებიც.

მეტი დემოკრატია — ეს ის მოწოდებაა, რომლის წამოყენება საჭიროა გზადა და შესაძლებელია საბჭოთა ხალხის დიდი იდეურ-პოლიტიკური სიმწიფის პირობებში, როცა სოციალიზმის პრინციპები და ღირებულებანი მტკიცედ დამკვიდრდა როგორც საზოგადოების შეგნების განმსაზღვრელი საფუძველები. ამ თვალსაზრისით იანვრის პლენუმის იდეები და გადაწყვეტილებანი ეყრდნობა როგორც ბოლო ხანს გაწეული მუშაობის შედეგებს, ისე სოციალიზმის ყველა მიღწევას. მან ერთ დროს მივიწყებული, დაბეჩავებული შრომელთა მასები აქცია დიდად განათლებულ, პოლიტიკურად წიგნიერ ხალხად, რომელმაც იცის მოქალაქეობრივი შეგნებისა და პასუხისმგებლობის ფასი.

სოციალისტური დემოკრატია საზოგადოებაში არსებული აზრის, პოზიციების, ინტერესების გამოხატვისა და გათვალისწინების ყოვლისმომცველი მექანიზმია. ეს მართვის შეუცვლელი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია დროულად გამოვხმაუროს ადამიანთა მოთხოვნილებებს, თავისი საშობლოს მოქალაქის აღზრდის უნიკალური სკოლაა.

ძნელი ამოცანა იდგა ორი წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის წინაშე. საჭირო იყო უძრაობის ტენდენციების დამსხვრევა, სოციალიზმისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ გადაეწყვეტი ბრძოლის დაწყება. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მოეთხოვებოდა საქმით დაედასტურებინა თავისი ავანგარდული როლი საზოგადოებაში, დაემტკიცებინა, რომ იგი იყო და არის რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების პარტია. ეს ამოცანა პარტიამ ღირსეულად გადაწყვიტა. ამის შედეგად კოლოსალურად გაიზარდა მისი ავტორიტეტი, მის ნოვატორულ პოლიტიკას უაღრესად ფართოდ, უაღრესად გულწრფელად დაუჭირა მხარი ხალხმა.

მოუწოდა რა საბჭოთა ადამიანებს ჩვენი საზოგადოების განახლებისათვის, პარტიამ თავისი მაგალითით, საკუთარი საქმიანობით უჩვენა, თუ როგორ უნდა გარდაიქმნან. გარდაქმნა პარტიამ საკუთარი თავით დაიწყო. იგი თავიდან იშორებს ყოველივეს, რაც პარტიორგანიზაციას უძრაობისათვის სწირავდა. იგი იღვწის, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, ხელმძღვანელობის პრინციპების, კომუნისტური ზნეობის მკაცრი დაცვა, შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება მსჭვალავდეს ყველა მისი რგოლის საქმიანობას — პირველადი ორგანიზაციებით დაწყებული და ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ხმამაღლა განაცხადეს, რომ ჩვენი განვითარების შემფერხებელი ბევრი სიძნელისა და ზარვეზისათვის პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეს ლენინურად პრინციპული, ბოლშევიკურად თვითკრიტიკული პოზიცია სამართლიანად აღიქვეს მშრომელებმა იმის გამოხატულებად, რომ პარტიას შეუწევს უნარი და მზად არის გზიდან მოიშოროს ყოველივე, რაც აბრკოლებს სოციალიზმის აღმშენებლობითს შესაძლებლობათა გამოვლენას. ამით გამოიხატება პარტიის გამბედაობა და მოწიფულობა. მხოლოდ ძლიერ, გულდაჯერებით წინ მიმავალ პარტიას შეუძლია გულახდილად აღიაროს ნაკლოვანებანი, დაუფარავად ილაპარაკოს მათ შესახებ.

საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მხურვალედ იწონებენ გარდაქმნის კურსს, სურთ დარწმუნებული იყვნენ, რომ დასახული გზით წინსვლა არ შეჩერდება, გადახრები არ იქნება. ეს პარტიას აკისრებს პასუხისმგებლობას დაწყებული ცვლილებების შეუქცევადობის საიმედო გარანტიების უზრუნველყოფისათვის. ზუნდაგარა საკუთარი ჯანსაღი განვითარებისათვის და მტკიცედ იღვწის სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება-გაღრმავებისათვის, პარტია ასეთ გარანტიებს ქმნის და სულ უფრო განამტკიცებს მათ.

პარტიის ცხოვრებაში გარდაქმნა ჩვენი პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლში დემოკრატიისაკენ მტკიცე შემობრუნების მაგალითია, რომელიც ბევრ რამეს გვაჩვენებს. სახალხო დეპუტატების, მართვის აპარატის მუშაკების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისტების მოქალაქეობრივი კალი ასევე მომთხოვნელად და თვითკრიტიკულად შეაფასონ საკუთარი საქმიანობა.

ვიყოთ გულახდილნი. საბჭოები — სოციალისტური დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი — ყველგან როდი ასრულებენ იმ როლს, რომელიც მათ დააკისრა ოქტომბრის რევოლუციამ, ყოველთვის როდია ხალხის ინიციატივის თაოსანი და ორგანიზატორი, როგორიც უნდა იყოს გარდაქმნის პირობებში. პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გათავისუფლოს ენერგია, განავითაროს საბჭოების თვითმოქმედება. ამას ისახავს მიზნად სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა არჩევნების შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ ახალი გადაწყვეტილებანიც. მართლაც რომ, დევიზად უნდა იქცეს სიტყვები, რომლებითაც ლენინმა მიმართა რუსეთის მშრომელებს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების ჩამოყალიბების დღეებში: „თქვენი საბჭოები — ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები... განამტკიცეთ ისინი. თვითონვე მოჰკიდეთ საქმეს ხელი ქვემოდან...“

პრინციპული გადაწყვეტილებით დამთავრდა პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობები. მათ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ გარდაქმნაში, გააქტიურონ მასში მშრომელთა მონაწილეობა, დარაზმონ ისინი ახალი მიღწევებისათვის. გასაგებია, რომ ამისათვის არ კმარა კარგი რეზოლუციების მიღება, საჭიროა დაძაბული მუშაობა, რათა თავიდან მოვიშოროთ პარდუღლობა, შაბლონები, ათწლეულების მანძილზე მოკიდებული ფორმალიზმის ხავსი.

დემოკრატიის გაფართოება ეკონომიკის გარდაქმნის განმასხვავებელი ნიშან-თვისებაა. სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ცვლილებები მთლიანად შეესაბამება ლენინის მოთხოვნას „გავატაროთ სწრაფედ დემოკრატიული ცენტრალიზმი მეურნეობის დარგში“ (ტ. 27, გვ. 238). ლენინს დემოკრატიული ცენტრალიზმის ძალად მიაჩნდა მისი ორივე მხარის — ცენტრალური გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მასების ფართო ინიციატივის აქტიური ურთიერთმოქმედება. ამავე დროს მრავალი წლის განმავლობაში ცენტრს გაუმართლებლად გადაჭარბებული როლი ეკისრებოდა, წარმოების დემოკრატიის განვითარებაში მხოლოდ სიტყვებს სჯერდებოდნენ, საქმე კი წინ არ მიიწევდა.

ახლა, როცა ეკონომიკამ კოლოსალური მასშტაბი შეიძინა და მრავალჯერ გაიზარდა მისი მართვის სირთულე, როცა ქვეყნის წინაშე ისახება პრინციპულად ახალი ამოცანები და უაღრესად გაიზარდა საკადრო პოტენციალის დონე, თვისებრივად სხვაგვარი გახდა ცენტრალიზმის შინაარსი. ცენტრი მოწოდებულია მთელი მეცადინეობა მოახმაროს სახალხო მეურნეობის სტრატეგიულ პრობლემებს, საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვას, და ამასთან სხლოოოდ განთავისუფლეს ძირეული რგოლების მუშაობის დეტალური რეგლამენტაციისაგან. წინა პლანზე დგება ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მოქნილობასა და ეფექტიანობას, ყოველივე იმ მნიშვნელოვნის ყოველმხრივ მხარდაჭერას, რაც იშვება მასებში, ადგილებზე.

ასეთი მიდგომა გულისხმობს ცენტრალური ეკონომიკური უწყებების და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის მთელი სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის ძირეულ გარდაქმნას. რადიკალური ცვლილებები უნდა მოვახდინოთ მართვის დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობაში. დემოკრატიზმი უნდა გახდეს მათი საშინაო ცხოვრების ნორმა, განსაზღვროს მთელი მუშაობის სტილი და მეთოდები.

ახალ შინაარსს იძენს დემოკრატიული ცენტრალიზმის მეორე მხარეც. დემოკრატია ადგილებზე, შრომითს კოლექტივებში. ახლა, როცა იზრდება ადამიანის ფაქტორის როლი, როცა ყოველ კოლექტივსა და მუშაკს მოეთხოვება შემოქმედებითი, დაინტერესებული მიდგომა საქმისადმი, დემოკრატია ეკონომიკაში მისი ახალი ფორმებით გვევლინება: თვითმმართველობა, არჩევითობა, მშრომელთა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ გაეკონა მოახდინონ საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე. ყველაფერი ეს რადიკალურ რეფორმას, აქ შექმნილი იმ სტერეოტიპების რევოლუციურ მსხვრევას საჭიროებს, რომლებმაც ეკონომიკა დაამუხრუჭეს.

მართვის გარდაქმნა დაიწყო წარმოების ძირითადი რგოლით — საწარმოთი. ფართო მასშტაბის ექსპერიმენტებმა, რომლებიც საცდელ პოლიგონებად გამოგვადგა, გზა გაიკვლიეს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლისაკენ, მოამზადეს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების შემოღების ბაზა.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის პრინციპები აისახა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის პროექტით. დიდია ამ დოკუმენტის მნიშვნელობა.

იგი საწარმოებს ფართო შესაძლებლობას აძლევს და ამავე დროს პასუხისმგებლობას აკისრებს მათ საქმიანობის შედეგებისათვის, განსაზღვრავს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითმმართველობის რეალიზაციის ეკონომიკურ და სამართლებრივ პირობებს.

კანონის პროექტი საერთოდ მოიწონეს. საბჭოთა ადამიანებმა ეს დოკუმენტი ღრმა დაინტერესებით აღიქვეს. განიხილავენ მისი ყოველი მუხლის არსს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. კანონის პროექტი ხომ შრომითი კოლექტივების ცხოვრების ძირეულ საკითხებს, მშრომელთა პირად ინტერესებს ეხება. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მართვისადმი ახალი მიდგომის მხარდაჭერას მკაფიოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ მის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, მაგალითად, სამეურნეო ხელმძღვანელების არჩევითობის შესახებ, უკვე ახლა იყენებენ საწარმოო კოლექტივებში.

ეკონომიკის დემოკრატიზაცია სოციალისტური შეჯიბრების ახალ უმნიშვნელოვანეს ფორმად სახავს ეკონომიკურ შეჯიბრებას. ეს საწარმოების შეჯიბრებაა, ბრძოლაა იმისათვის, რომ ნაკლები დანახარჯებით გამოუშვან სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქცია და ამის საფუძველზე მიიღონ შემოსავალი, რომლის ოღენობაც მთლიანად განსაზღვრავს შრომითი კოლექტივების საწარმოო და სოციალურ მდგომარეობას, განვითარების პერსპექტივებს. სწორედ ასეთ პირობებს ქმნის ახლა სრული სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება. ეკონომიკური შეჯიბრების იდეით არის გამსჭვალული სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მთელი პროექტი.

კანონი მართვის მომავალი მთლიანი სისტემის საფუძველი გახდება. ახლა სხვა რთული ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი. უნდა განვსაზღვროთ დარგობრივი და რეგიონალური მართვის სტრუქტურა, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის თითოეული რგოლის როლი და ადგილი. ეს გარდაქმნები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის ძირითად დებულებათა კალაპოტით. უეჭველია, უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობის სრულყოფის ღონისძიებანიც.

ეკონომიკის მართვის თვისებრივი გარდაქმნის გზებს, როგორც ცნობილია, განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომლისთვისაც აქტიურად ვემზადებით.

გასაგებია, რომ მართვის მთლიანი სისტემის ყველა ელემენტის დამუშავებას დრო სჭირდება. გვექნება სიძნელეები, შესაძლოა დროებით ზარუმატებლობაც, რადგან მოძველებული და ყავლგასული ეწინააღმდეგება მოწინავეს, ახალს. უნდა ვიმოქმედოთ გადაჭრით და მტკიცედ, წარმატების რწმენით. ამის საწინდარია ჩვენი ხალხის მხარდაჭერა, რომელმაც კარგად იცის, რომ გარდაქმნა შეესაბამება მის ძირეულ ინტერესებს.

ქვეყანაში მიმდინარე საწარმოო ძალების ღრმა გარდაქმნა, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა, მისი შეხამება ცხოვრების რეალურ მოთხოვნებთან, რევოლუციური გაქანებით საკითხების დაყენების გამბედაობა ახალი ეკონომიკური პოლიტიკისაკენ ლენინური შემობრუნების ტოლფასია. რა თქმა უნდა, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან თანამედროვე გარდაქმნის გაიგივება არ შეიძლება. ეს იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის პოლიტიკა.

ამავე დროს ლენინის ბევრი დებულება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სტიმულირების გამოყენების შესახებ კვლავ ძალაშია. ცხოვრებამ ცხადყო, რომ მათი გამოყენება ხანგრძლივი ხასიათისაა და არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სოციალიზმის მონაპოვრების დათმობას. ამტკიცებს ჩვენი პარტია, რომელიც შემოქმედებითად ავითარებს ლენინის იდეებს ახალ სამეურნეო სიტუაციაში, მათ გარდაქმნის სამსახურში აყენებს.

ამხანაგებო! გარდაქმნის წარმატებას განსაზღვრავენ მტკიცე, კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ აღანთონ მასები და გაუძღვნენ მათ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს კადრებთან პოლიტიკური, აღმზრდელობითი, ორგანიზატორული მუშაობის უდიდეს მნიშვნელობას. ახლა, როცა გვიწევს ყოველივე იმის უკუგდება, რასაც ათწლეულების მანძილზე ვეჩვეოდით, გზადაგზა ხელახლა სწავლა, მუშაობის მეთოდების შეცვლა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ისეთი თვისებები, როგორიც არის უნარი აწონ-დაწონილად გავაანალიზოთ ყოველგვარი, ყველაზე რთული სიტუაციები, არ შევუშინდეთ გადაწყვეტათა სიახლეს, არ დავიბნეთ, შეგვეძლოს ნეგატიური გამოცდილებიდანაც კი გამოვიტანოთ დადებითი დასკვნები. ყოველივე ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ხელმძღვანელს. მას უნდა ახასიათებდეს პარტიულობა, პროფესიონალიზმი, ახლის გამახვილებული გრძნობა, მაღალი ზნეობრივი თვისებები, ორგანული მოთხოვნილება ცხოვრობდეს სახელმწიფოს საზრუნავით, კოლექტივის საზრუნავით.

ამავე დროს მეტად საჭიროა მოვთოოკოთ ისინი, ვისაც სურს გარდაქმნა შეცვალოს ლაპარაკით, ჩაახრჩოს იგი სიტყვებში. შეცდომა იქნებოდა, როგორც ლენინი გვაფრთხილებდა, „თავისუფლება მიგვეცა მყვირალებისა და ფრაზიორებისათვის, რომელნიც თავს ნებას აძლევენ, რომ ისინი გაიტაცოს „ბრჭყვიალა“ რევოლუციურობამ, მაგრამ უნარი კი არ შესწევთ აწარმოონ მტკიცე, მოფიქრებული, აწონ-დაწონილი რევოლუციური მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე უძნელეს გადასვლებს“.

იმუშაონ დაკვირვებით, ინიციატივიანად, რეალური შედეგებისათვის ზრუნვით — ამ მოთხოვნას გარდაქმნა უყენებს სამმართველო კადრებს მოსკოვშიც, ცენტრალურ უწყებებში, და, როგორც იტყვიან, რაიონის დაშორებულ ადგილებშიც. ისინი ყველანი საჭირო საქმეს აკეთებენ, და მათ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მათ შორის პასუხისმგებლობაც იმისათვის, რომ მათ მუშაობაში არ იყოს ჯანჯლობა, ბიუროკრატიზმი. ამავე დროს კი ჯერ კიდევ ძლიერია ეს ჩინოვნიკური სენი, და სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ საბჭოთა ადამიანები ქაღალდის მოძალების, ფუჭი სხდომების, შეთანხმებებისა და სხვა ბიუროკრატული დავიდარაბის გამო. ბიუროკრატიზმს ახლა ყველაზე მტკიცედ და შეურიგებლად შევუტეოეთ.

ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს პრაქტიკული მიღწევები. უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე აღშფოთების ყველაზე ხმამაღალი სიტყვები. ჩვენთვის ძვირფასია გარდაქმნის თითოეული წარმატება, ახლის თითოეული ყლორტი. და ამ თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შექმნილ საჯაროობის ატმოსფეროს. საჯაროობა მარტო ჩვენი ერთგული თანაშემწე როდია ნეგატიური მოვლენების, წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი შეუცვლელია პოზიტიური გამოცდილების მხარდაჭერაში, პრაქაგანდასა

ლენინიზმი გარდაქმნის თეორიისა და პოლიტიკის საფუძველია

(დასასრული)

...თანასწორუფლებიანი პარტნიორობის ბაზაზე მტკიცდება ჩვენი ... კავშირურთიერთობა განვითარებად ქვეყნებთან, უწინარესად ... სოციალისტური ორიენტაციის ... ელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირი, როგორც ყოველთვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის, ... ერთგული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლი ხალხების მხარეს. მათთან ერთად ვიღვწით ... ალი ეკონომიკური წესრიგისათვის, ვილაშქრებთ ყველანაირ ... ორმის საერთაშორისო ძალცვისა და დისკრიმინაციის წინააღ...

ჩვენ მხარს ვუჭერთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ინტენსიურ ეკონომიკურ თანამშრომლობას. ... მთანთან დავამყარეთ ... ტიკა და ხელსაყრელი საქმიანი ... ურთიერთობა. ჩვენი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ... ფუძნდა ასეთი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ... ის შესაძლებლობებს სახავს. ... ადიციული საგაჭრო ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად ... ენ აქტიურად ვიყენებთ ეკონომიკური ურთიერთობის ახალ ... ორმებს — ფართო საწარმოო ... ოპერაციას, ერთობლივი საწარმოების შექმნას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში ... ურთიერთთანამშრომლობას, რადგან ამ ... ურთიერთხელსაყრელ საქმეს დიდი ინტერესით ეკიდებიან დასავლეთის საქმიანი წრეები. ამასთან ... ეველი ეს პროცესი უფრო სწრაფად წარიმართებოდა, მის გზაზე ... ორ არ იქმნებოდეს ხელოვნური ... ბრკოლებები, რომელთა აშკარა მიზანია პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინონ ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულ საკითხებში.

ეკონომიკური ურთიერთობა კაპიტალისტურ სამყაროსთან შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ორმხრივობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. ეს არის გზა ორმხრივი მოძრაობით. ყველა ცდა, პოლიტიკური ხარკი გადაგვახდევინონ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიკური კავშირურთიერთობისათვის, უაზრო და უიმედოა. საკუთარი პრინციპებით, საკუთარი მონაპოვრებით ჩვენი ქვეყანა არასდროს არ ივაჭრებს! თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის კი მუდამ მზად ვართ, იგი პროგრესისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია.

თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიო დილემის — კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე აღმოჩნდა, ხალხთა სულ უფრო მეტი მასები ებმება ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლის პირველ რიგებში არიან ყოველთვის კომუნისტები, პროგრესის სხვა ძალები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განუყოფელი ნაწილია. უცვლელია მისი სოლიდარობა სხვა კომუნისტურ პარტიებთან. ჩვენ ვიბრძვით სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტთა თანასწორუფლებიანი, ფაქთო და აქტიური ურთიერთთანამშრომლობისათვის ამა თუ იმ საკითხში განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ვიღვწით მსოფლიო განვითარებაში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის როლის გაძლიერებისათვის. მთელი მოძრაობის საერთო საქმეში თავიანთ მთავარ წვლილად საბჭოთა კომუნისტებს ის მიაჩნიათ, რომ გაზარდონ სოციალიზმის, როგორც ექსპლოატატორული წყობილების რეალური ალტერნატივის, მაგალითის ძალა. რევოლუციური გარდაქმნის გზით ეფექტიანი წინსვლა დღეს ჩვენი მთავარი, როგორც ეროვნული, ისე ინტერნაციონალური ვალია.

• • •

ამხანაგებო! რა ამოცანაც უნდა დაესახა მუშათა კლასის პარტიის წინაშე ცხოვრებამ, ვლადიმერ ილიას ძე მის გადაწყვეტას ყოველთვის განუყოფლად უკავშირდება სოციალიზმის ძირეული მიზნებისათვის ბრძოლას.

გარდაქმნა ყოველივე ახლის — ახალი იდეების, ჩანაფიქრების, მიღწევების ხორცშესხმაა. მან ახალი მაღალი აზრი შესძინა ჩვენს ბრძოლას, მისცა ხალხს მისი ისტორიული მოწოდების შესაფერისი მიზანი. საბჭოთა ადამიანებს ესმით, რომ სსრ კავშირში დაწყებულ გარდაქმნათა წარმატებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, სოციალიზმის, მთელი მსოფლიო ცივილიზაციის ბედიღბალი. აი, რით განისაზღვრება პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება დღეს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს.

ჩვენი ლოზუნგია: ვიმოქმედოთ დღევანდელი უკეთესი ცხოვრებისათვის და გარდაქმნის საბოლოო მიზნის — საზოგადოების ღრმა განახლების მიღწევისათვის.

ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ ამ პასუხისმგებლობის შეგნებით — ყოველი კომუნისტის პარტიული მოვალეობა, თითოეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული, ზნეობრივი ვალია. მთლიანად გამოვავლინოთ ჩვენი წყობილების უდიდესი აღმშენებლობითი შესაძლებლობანი და უპირატესობანი — ეს არის ისტორიის იმ დიდი ეტაპის აზრი, რომელიც საბჭოთა ქვეყანას დაუდგა.

რევოლუციურ გარდაქმნათა გზა, რომელსაც დავადექით, ერთადერთი სწორი გზაა. მილიონების ნება და შრომა ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის თვისებრივად ახალ საფუძველზე აიყვანს. იგი მსოფლიოს წარუდგება მძლავრ სახელმწიფოდ, რომელიც განასახიერებს სოციალიზმის მთელ სილამაზესა და ადამიანურობას, მთელ სიდიადეს და მიზზდველ ძალას.

გარდაქმნა შთაგონებულია ლენინის გენიით, ლენინური გამარჯვების მეცნიერებით. და იგი გაიმარჯვებს!

• • •

(მოხსენება დიდი უყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

ლენინური კურსით

გარდაქმნა და დაჩქარება ... ულ უფრო რეალურად, ხელშესახებად ვლინდება საბჭოთა საქართველოში. რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ... ველა საბჭოთა ადამიანი, რომლებსაც ძალ-ღონესა და შთაგონებას მატებს დიდი ლენინის შეიმქედებითი მემკვიდრეობა, მისი მარად ცოცხალი რევოლუციური მოძღვრება, მომთხოვნელად ... ფსებენ დიდწეულს, მთელ თავიანთ ყურადღებას მიაპყრობენ ... ბმყოს ძირეულ პრობლემებს, ... ვრტენენ მომავალს. ახოროციელდ ... ნ რა პარტიის XXVII ყრილობის, საკმ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის ლენინურ კურსს, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს ... ისინი ზრდიან თავიანთ ძალისხმევას, რათა უზრუნველყონ თვითმმართველობა, ... ბერივი გარდაქმნები ცხოვრების ... ველა სფეროში. ეს საკითხები ... ითელ ზოლად გასდევდა საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ... ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა მთელ საზეიმო კრებას, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავს მიეძღვნა. იგი გაიმართა 22 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მხედართმთავრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

შეკრებილებმა მოისმინეს ამბავი ადამიანისა, რომელიც გახდა სამყაროს რევოლუციური გარდაქმნების სიმბოლო, მისი მოძღვრება და საქმე კი მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლის უძლეველი დროშა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველაფერი, რასაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძის შესრულების, მის მიერ შექმნილი პარტიის გარდამქმნელი საქმიანობის ლოგიკური შედეგი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მძლავრი თანამეგობრობის ნაყოფია.

ბ. ლუხუტაშვილი,
ამბროლაურის რაიონის ხვანწკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მეტი უფლებები უნდა მიენიჭოთ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შრომელთა მიზანია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ დავალებათა განუხრელი შესრულების უზრუნველყოფა.

მოისმინა რა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. ოკლელის ანგარიში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ უურადღება გამამახვილა მისი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი სისტემატური კონტროლის დაწესების საკითხებზე. ამავე დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა მთლიანად არ შეესაბამება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების გაზრდილ მოთხოვნებს. დაისახა კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გაფართოებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში მათი შედეგების დანერგვისათვის საქმიანობის გააქტიურების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა ტურისტული ჯგუფების დაკომპლექტების, მომზადებისა და საზღვარგარეთ გაგზავნისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებებისა და შემოქმედებითი კავშირების მუშაობის პრაქტიკის საკითხი 1986 წლის შედეგების მიხედვით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მოწესრიგდეს საზღვარგარეთ რესპუბლიკის წარმომადგენელთა გაგზავნის ორგანიზაცია. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მომთხოვნელობა პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობისათვის კანდიდატურების შერჩევის საქმეში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ჯგუფების სოციალურ შემადგენლობას.

განიხილეს რესპუბლიკის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოების მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საქართველოს სსრ სახკინოს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის, კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა მკვეთრად გაზარდონ კონტროლი კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოების საქმიანობისადმი იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სარეპერტუარო დაგეგმვაში, გაუწოონ მათ ქმედითი დახმარება საბჭოთა და პროგრესული საზღვარგარეთული ფილმების თემატიკური ჩვენების, ფესტივალების მოწყობაში, მუდამ იქონიონ თვალთახედვის არეში მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში კინოს როლის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების, ადამიანზე ზრუნვის გაძლიერებისათვის გამიზნული პარტიის კურსის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვასა და გაკაჟებას და მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „ჯანმრთელობის“ შემუშავების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხებიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 21 აპრილს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დ. დვალიშვილის ანგარიში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღებისათვის მზადების მიმდინარეობის თაობაზე. ძირითადად მოიწონეს მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს ამ მიმართულებით. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ ყოველნაირი დახმარება გაუწიონ მოქალაქეებს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ხელი მოჰკიდონ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას კანონით გათვალისწინებულ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რეგულარულად განიხილონ მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. მკაცრად მოჰკითხონ იმათ, ვინც ბიუროკრატიულად მოეკიდება მოქალაქეთა განცხადებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა წარმოებას მოუწყვეტლივ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლში სპეციალისტთა მომზადების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. წარმოებას მოუწყვეტლივ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა არასაკმარისად ცნეს. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებსა და პარტიულ კომიტეტებს მიუთითეს, რომ სწავლების დაუსწრებელ და საღამოს ფორმებზე სტუდენტთა გადაყვანისა და აღდგენის საკითხებში არის ნაკლოვანებანი. დაისახა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებას მოუწყვეტლივ სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი.

განიხილა რა აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ზრდასათვის დმანისის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განხილულად ჩაითვალა. ბიურომ ასევე ერთხმად დაადასტურა ბიუროს ადგილობრივ ორგანოებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებსა და ეროვნულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1987/88 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომზადებისა და სათბობით ელეტრო და თბოენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებისათვის კადრების მომზადება-გადამზადების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს ერთობლივი დადგენილება „წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების სარეალიზაციოდ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ამოცანების თაობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე კონტროლის წესით განხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ამბროლაურის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ ეს დადგენილება არადამაკმაყოფილებლად სრულდება. დაისახა საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ დავალებათა განუხრელი შესრულების უზრუნველყოფა.

მოისმინა რა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. ოკლელის ანგარიში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ყურადღება გამამახვილა მისი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი სისტემატური კონტროლის დაწესების საკითხებზე. ამავე დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა მთლიანად არ შეესაბამება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების გაზრდილ მოთხოვნებს. დაისახა კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გაფართოებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში მათი შედეგების დანერგვისათვის საქმიანობის გააქტიურების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა ტურისტული ჯგუფების დაკომპლექტების, მომზადებისა და საზღვარგარეთ გაგზავნისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებებისა და შემოქმედებითი კავშირების მუშაობის პრაქტიკის საკითხი 1986 წლის შედეგების მიხედვით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მოწესრიგდეს საზღვარგარეთ რესპუბლიკის წარმომადგენელთა გაგზავნის ორგანიზაცია. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მომთხოვნელობა პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობისათვის კანდიდატურების შერჩევის საქმეში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ჯგუფების სოციალურ შემადგენლობას.

განიხილეს რესპუბლიკის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოების მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საქართველოს სსრ სახკინოს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის, კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა მკვეთრად გაზარდონ კონტროლი კინოფიკაციისა და კინოგაქირავების ორგანოების საქმიანობისადმი იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სარეპერტუარო დაგეგმვაში, გაუწოონ მათ ქმედითი დახმარება საბჭოთა და პროგრესული საზღვარგარეთული ფილმების თემატიკური ჩვენების, ფესტივალების მოწყობაში, მუდამ იქონიონ თვალთახედვის არეში მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში კინოს როლის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების, ადამიანზე ზრუნვის გაძლიერებისათვის გამიზნული პარტიის კურსის განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვასა და გაკაჟებას და მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „ჯანმრთელობის“ შემუშავების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხებიც.

მზადდება პლენუმი: ზენი აზრი, მკითხველო!

წინადადებები, შენიშვნები

განსაკუთრებით მინდა გამოვყო დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, დისციპლინის განმტკიცების, ურთიერთმომთხოვნელობის შექმნის აუცილებლობა ჩვენს პირობებში. დღეს სწორედ ეს ურთიერთმომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა მთელი ძალით არ იგრძნობა ყველგან. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის ქრონიკული ჩამორჩენა, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობებია გბატონებული. მცირეა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, არარენტაბელურია მეცხოველეობა, იგრძნობა შრომისა და ანაზღაურების ახალი ფორმების დანერგვის გაჭიანურება.

ასეთ პირობებში მთელი სიმწვავით დგება კადრების კომპეტენტურობის საკითხი. საჭიროდ მიმაჩნია, რომ კადრის შერჩევის დროს გათვალისწინებულ იქნეს პიროვნების არა მარტო შრომითი მონაცემები, არამედ მისი საზოგადოებრივი პრესტიჟი და მორალური მხარე, რადგან კოლექტივში ავტორიტეტის შექმნისათვის ეს ორი ფაქტორი აუცილებლად მიმაჩნია.

ბ. ბურჯულაძე,
საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი.

დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში გამოყენებულ ღონისძიებათა შორის, მე მგონი, მითი კოლექტივების მიერ დაყენებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის. ზოგჯერ სულ უბრალო საკითხი მოუგვარებელი რჩება იმიტომ, რომ არც არის საჭირო და ვერც ხერხდება მისი შეთანხმება ზემდგომ ორგანოებში, მაშინ როცა ამ საკითხის გადაწყვეტა ადგილზეც შეიძლება.

თ. ჭიკაშუა,
საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი.

ბეტი უფლებები უნდა მიენიჭოთ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეკარგ შედეგს მოგვცემს, თუ ადგილზე პასუხისმგებელი პირის (დეპუტატი, საბჭოს თავმჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივანი და სხვა) მუშაობა შეფასდება იმის მიხედვით, რამდენი დამნაშავე გამოავლინა, და არა იმით, მის სამოქმედო უბანში რამდენად არ ჩანს კანონდარღვევები. ასეთი წესი, ჩემი აზრით, საჭიროა იმისათვის, რომ ზოგჯერ პასუხისმგებელი მუშაკი ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მიჩქმალოს უარყოფითი მოვლენები, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას, აღშფოთებას.

დ. აბშანდაძე,
პენსიონერი პედაგოგი. თერჯოლის რაიონი, ზედა სიმონეთი.

ილია ვეკუა—80

გამოჩენილი საბჭოთა მკვლევარი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, მექანიკოსისა და მათემატიკოსის, მეცნიერებისა და მეცნიერების ... ...

ასახელებენ ღირსეულთ

ქუთაისი. წარჩინებულ ავტომობილშენებელს, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატს გურამ რუსიას კონკურენტები არ ჰყავდა. მხოლოდ მისი კანდიდატურა დასახელეს ამმრჩევლებმა კრებაზე, რომელიც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საგრეგატო კორპუსში გაიმართა. მრავალი წელია შრომობს გურამ რუსია ამ საწარმოში. მას იცნობენ, როგორც გამოცდილ გამმართველს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, ახალგაზრდობის დამრიგებელს. იგი მეთაურობს საგრეგატო წარმოების ერთ-ერთ საუკეთესო ბრიგადას. საამქროს კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად მისი კანდიდატურის დასახელებას.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შრომელებმა მოიწონეს №1 საქსოვი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა კრების გადაწყვეტილება, რომლებმაც სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კანდიდატად დასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კატუშა ბაკურაძე. ფეიერბმა გამოთქვეს რწმენა, რომ მათ მიერ დასახელებული კანდიდატი ყველაფერს იღონებს საწარმოს ინტერესების დაცვისათვის, ქალაქის ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის.

ოჩამჩირე. გაიმართა შრომითი კოლექტივების ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიეძღვნა ოჩამჩირის რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატების კანდიდატების დასახელებას მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ჩაის საწონი ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ასახელებდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო წარმომადგენლებს, კოლექტიურად განხილავდნენ თითოეულის ღირსებებს, გულახდილად აფასებდნენ მათს საქმიან თვისებებს. ღია კენჭისყრის დროს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დასაფასებელი ავტომატების ოპერატორის ალინა შლარბას, დასაფასებელი საამქროს ჩამწყობის სვეტლანა დადიანისა და ფაბრიკის დირექტორის იური ჯოპუას კანდიდატურებს, რომლებიც დასახელეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. ინჟინერ-ტექნოლოგი ლიანა პლიევა ხმის უმრავლესობით დასახელეს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. კრებაზე აირჩიეს კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები და ოჩამჩირის რაიონული და საქალაქო საბჭოების არჩევნების საოლქო წინასაარჩევნო თათბირის წარმომადგენლები.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის ერთობაშად რამდენიმე კანდიდატი დასახელეს ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივების წინასაარჩევნო კრებებზე. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომბინირებული საკვების ქარხნის დირექტორის ვლადიმერ ჭკადუას, მოდების ატელიეს მიმღებს დინა ესათიას, მკერავ ლეილა ინაფშვასა და თერძ ავთანდილ დადახვას კანდიდატურებს. ყველა ეს კანდიდატი კენჭს იყრის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. (საქინფორმი).

ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ?

სატურნირო ცხრილი ასე თუ ისე რომ შეივსება, მაშინ შეიძლება საუბარი ლიდერებზე, აუტსაიდერებზე, დაკარგულ ქულებზე და გუნდების პერსპექტივებზე. კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ სწორედ ასეთი პერიოდი დადგა. ლიდერები უკვე ფინალის საგზურებზე ოცნებობენ, აუტსაიდერები ცდილობენ მდგომარეობის გაუმჯობესებას და სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას. ერთი სიტყვით, ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და საკმაოდ მოხერხილი აუდიტორიაც მიიზიდა.

ერთადერთი გუნდი, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივია. მეხუთე ტურში სტუდენტებმა გორის ნაკრები დაამარცხეს — 100:78. ეს შეხვედრა არაფრით არ იყო გამორჩეული და თუ მაინც ვახსენეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დ. გიორგობიანმა ისევ გამოიჩინა თავი სნაიპერული სროლებით. ამ კალათბურთელმა თავის კოლექტივს 42 ქულა შესძინა (თითქმის ნახევარი), მაგრამ დაშავდა და მეორე დღეს სათამაშოდ არ გამოსულა.

ახლა მეორე უკიდურესობის შესახებ. ბათუმის გუნდი ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ მოუგია. ბათუმელთა ეს წარუმატებლობა, ალბათ, იმით უნდა აგხსნათ, რომ გუნდს შინ ჯერ არ უთამაშია.

განვლილი ორი ტურის ყველაზე შედეგიანი მატჩი თელავში გაიმართა. თბილისის „მარითვემ“ ადგილობრივი გუნდი დიდი ანგარიშით (127:106) დაამარცხა. „მარითვეს“ ჭაბუკმა კალათბურთელებმა მეორე დღესაც საუცხოოდ ითამაშეს და ოთხი გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა შესამჩნევად გაიუმჯობესეს. ისინი ქვეჯგუფში დაწინაურებულ სხვა ორ კოლექტივთან ერთად („ფიზკულტურის ინსტიტუტი“, „სინათლე“) ფინალში გასვლის რეალურ შანსებს ინარჩუნებენ.

რთული მდგომარეობაა პირველ ქვეჯგუფში, სადაც ფინალის სამ საგზურს ოთხი მაძიებელი ჰყავს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა ბედი მეტ-ნაკლებად გარკვეულია. უნივერსიტეტის, სოხუმისა და თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა კალათბურთელები კი დაახლოებით ერთნაირ პირობებში არიან. გასულ ტურში სიურპრიზი სწორედ ამ გუნდების შეხვედრამ შემოგვთავაზა. ნორჩმა დინამოელებმა უნივერსიტეტის კოლექტივი პირველ შეხვედრაში ერთი ქულით დაამარცხეს. სტუდენტების ბოროდაჩოვისა და ტალაბაძის მაღალმა ოსტატობამაც ვერ უშველა.

მომდევნო ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართება თბილისში — „დინამო“ გთამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს შეხვდება. შაბათ-კვირას გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უნივერსიტეტი-„დინამო“ (თბილისი)— 77:78 და 85:69, სოხუმი-რუსთავი — 93:76 და 100:92, გორი-პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 74:84, „სინათლე“ (თბილისი)-ბათუმი —106:83 და 105:88, ფიზკულტურის ინსტიტუტი-ქუთაისი — 84:73 და 100:71, თელავი-„მარითვე“ — 84:99.

ექვსი ტურის შემდეგ ქვეჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა: **პირველი ქვეჯგუფი.** პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 12 ქულა, უნივერსიტეტი — 10, სოხუმი და „დინამო“ (თბილისი) — 9-9 ქულა; **მეორე ქვეჯგუფი.** ფიზკულტურის ინსტიტუტი და „სინათლე“ (თბილისი) — 11-11 ქულა, „მარითვე“ (თბილისი) — 10 ქულა.

გ. ნადირაძე.

სატურნირო ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲠᲣᲒᲑᲘ. ევნაში გრძელდება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი ბაბინან ჰოკეიში. გთავაზობთ მეოთხე ტურის მატჩების შედეგებს: შვეიცია-შვეიცარია — 12:1, აშშ-ფინეთი — 2:5, გფრ-კანადა — 5:3, ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირი — 1:6. ოთხი ტურის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლაში 8 ქულით ლიდერობს საბჭოთა ნაკრები. შვედებს 6 ქულა აქვთ, კანადელებს და ჩეხოსლოვაკიელებს — 5-5, გფრ-ის და ფინეთის გუნდებს — 4-4. შვეიცარიელებს და აშშ-ს ჰოკეისტებს ჯერ თითო ქულაც არ მოუპოვებიათ. სამ-სამი მატჩის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებს 6 ქულა აქვს, ჩეხოსლოვაკიელებს და შვედებს — 4-4, გფრ-ისა და ფინეთის გუნდებს — 2-2 ქულა, შვეიცარიელებს ჯერ ერთი ქულაც არა აქვთ.

ფეხბურთი. გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების საწყისი ეტაპის ერთი კალენდარული მატჩი. შედეგი ასეთია: მინსკის „დინამო“-„ყაირათი“ — 2:0.

საფრანგეთის ქალაქ სენ-მალოში დამთავრდა 17 წლის ასაკის ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს გერმანელმა ჭაბუკებმა, ანგარიშით 2:0.

საფრანგეთის ქალაქ მონტეგიუში კი იასპარეზეს 16 წლის ასაკის ფეხბურთელთა გუნდებმა. აქ პირველობა მოიპოვეს ბელგიელებმა, რომელთაც უნგრელთან პენალტების საშუალებით მიაღწიეს გამარჯვებას (ძირითადი დრო — 0:0). საბჭოთა ფეხბურთელებმა შესამე ადგილისათვის მატჩში დაამარცხეს ფრანგები — 2:0.

ხელბურთი. ლენინგრადში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ეტაპის მატჩები, თბილისის „ქარიშხალი“ (სპი) პირველ დღეს შეხვდა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 13:21.

ჩოგბურთი. თბილისში გრძელდება მოზარდ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება. გთავაზობთ რამდენიმე შედეგს: **გოგონები.** ა. ვერბინსკაია (პოლონეთი)-რ. მძინარიშვილი (თბილისი) — 6:1, 6:0, ნ. წირღვავა (თბილისი)-მ. კოვანდი (პოლონეთი) — 6:2, 6:5, ლ. ტამიროვა (თბილისი)-მ. იოგანუსი (კუბა) — 6:3, 6:1; **ბიჭუკები.** ს. ელიგულაშვილი (თბილისი)-ა. ახალაძე (თბილისი) — 6:1, 6:3, ა. გოგელია (თბილისი)-რ. როდრიგესი (კუბა) — 6:4, 2:6, 3:6, ა. შოსტაჩკო (პოლონეთი)-ბ. ძაგანია (თბილისი) — 6:1,6:4.

საბაიდარო ნიჩბოსნობა. ოდესაში დამთავრებულ საკავშირო თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა **კახა ლომშვილმა.** იგი საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ოთხადგილიანი ნავით 500 მეტრზე რბოლაში ვერცხლის მედალს დაეუფლა. მანვე ბელორუსიელ ა. ზუევთან ერთად ორადგილიანი ნავით 1000 მეტრზე რბოლაში მეხუთე ადგილი დაიკავა. ამავე დისტანციაზე მეექვსენი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ედუარდ ქაშაკაშვილი და კალინინელი ვ. დენისო�kი.

რაგბი. ხარკოვში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ამ ქალაქის სატრაქტორო ქარხნის გუნდსა და ქუთაისის „შრომენელს“ შორის. შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა ანგარიშით 31:4.

სროლა. ბულგარეთში გაიმართა მეგობრული არმიების სპორტსმენთა ჩემპიონატი პისტოლეტის სროლაში. ორი ჯილდო მოიპოვა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ნინო სალუქვაძემ.** იგი ქვეყნის არმიელთა ნაკრების გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა და გუნდურ შეჯიბრებაში („ᲐᲐ-2“ ვარჯიში) თანაგუნდელებთან ერთად 1131 ქულა დაგროვა და ოქროს მედალს დაეუფლა. მანვე „მᲐ-5“ ვარჯიშში პირად შეჯიბრებაზე 580 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

ᲑᲐᲓᲠᲐᲪᲘ. ბრიუსელში დასასრულს მიუახლოვდა ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. მეცხრე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — კასპაროვი და ლუბოევიჩი. მეტოქენი დაზავდნენ. და ახლა მათ 7-7 ქულა აქვთ. კარპოვმა დაამარცხა კორჩნოი. ტორემ — მიუღლერსი, ვინანტმა — ლარსენი. ტიმანი დაუზოგდა ტალს, ხოლო შორტს და ვანდერ ვილს პარტია არ დაუმთავრებიათ. ახლა კარპოვს 5,5 ქულა და 1 დასამთავრებელი პარტია აქვს, ტალს — 5,5, ტიმანს — 5 (1 გადადებული). მეათე ტურში ერთმანეთს ხვდებიან კარპოვი და კასპაროვი, ბოლო, მეთერთმეტეში კი კასპაროვს მეტოქე იქნება ტალი, ლუბოევიჩისა — კარპოვი.

საფრანგეთის ქალაქ იერში შვეიცარიელი სისტემით მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების 7 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ლიდერობს ნონა გაფრინდაშვილი, 6 ქულით მეორე ადგილზეა ნანა იოსელიანი. გიზელა ფიშდიკს (გფრ) 5 ქულა აქვს.

ᲛᲝᲠᲘᲒᲝ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ

25 აპრილს ჭადრაკის სასახლის საკონცერტო დარბაზში 16 საათზე გაიმართება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა ღია მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საერთაშორისო დიდოსტატი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნანა ალექსანდრია (თემაზე: „ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი აზიაში“) და საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა („სუპერფინალური მატჩი ანატოლი კარპოვსა და ანდრია სოკოლოვს შორის“ — (მწვრთნელის შთაბეჭდილებები). ლექციების შემდეგ ნ. ალექსანდრია და ე. უბილავა მსმენელთათვის გამართავენ ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსებს.

26 აპრილს 11 საათზე სემინარულ მეცადინეობებს ფაკულტეტების მიხედვით ჩაატარებენ: დოცენტი მ. თხელიძე, ოსტატი თ. კიკიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები — შ. ინწკირველი, თ. ალხანიშვილი და საერთაშორისო არბიტრი ე. მელიქსეთ-ბეგი.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმ, აგროსამრეწველო გაერთიანება მწუხარებით იუწყებიან, რომ 45 წლისა გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის უნარიანი ხელმძღვანელი, ცხუნკურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

ᲘᲛᲔᲓᲝ ᲙᲐᲚᲘᲡᲢᲠᲐᲢᲔᲡ ᲫᲔ ᲢᲣᲐᲒᲚᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ
ფაქტები • მოვლენები

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔ-ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

თბილისი და რუსთავის სავაჭრო ობიექტები უკვე შეუდგნენ სადღესასწაულო ვაჭრობას. სავაჭრო ქსელში შემოტანის სეზონიალური გრაფიკით იღებენ სურსათს.

— წელს საქონლის შემოტანა, — თქვა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. წილოსანმა, — საგრძნობლად აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს ყველა სახეობის პროდუქტის მიხედვით. მაგალითად, თუ შარშან გაიყიდა 340 ტონა ძეხვეული, წელს გამოყოფილია 570 ტონა. 604 ტონით მეტი გაიყიდება ამ დღეებში ხორცის პროდუქტი. 90 ტონა იმპორტულ ფრინველს მიიღებენ სავაჭრო ორგანიზაციები. სულ კი გაიყიდება — 1300 ტონა. გაზრდილი ნორმით კვერცხის გაყიდვა დაიწყო 12 აპრილიდან და ყოველდღიურად ქალაქებში იყიდება დაახლოებით 1160 ათასი ცალი კვერცხი. ძროხის ხორცი და ყველი გაიყიდება ნორმირებული გზით. ცხვრის ხორცის რესურსების შეზღუდვის გამო, 29 აპრილიდან სავაჭრო ქსელში მიიღებენ 60 ტონა ცხვრის ხორცს. რაც შეეხება საკმარისი ასორტიმენტის საქონელს, იგი ყოველთვის არის სავაჭრო დახლებზე.

სადღესასწაულო ვაჭრობა გაჩაღდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რეგიონებში. 28 აპრილიდან იგი დაიწყება აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, საქართველოს რაიონულ ცენტრებში. აქ ვაჭრობა გაიმართება სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთების თანახმად და გამოყოფილი ფონდების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, განზე არც საზოგადოებრივი კვების საწარმოები დარჩებიან. ისინი ერთობლივად, დიდი ასორტიმენტით დაიწყებენ საკუთარი წარმოების საქონლის ვაჭრობას. მყიდველისათვის ხელის შეწყობის მიზნით გახანგრძლივებული იქნება სავაჭრო ობიექტების მუშაობის საათები.

სადღესასწაულო ვაჭრობაში ჩაებმებიან კოოპერაციული ორგანიზაციებიც. 27-30 აპრილს რესპუბლიკაში უდიდესი ბოსტნეულის ბაზრობები მოეწყობა თბილისში. ათობით დამამზადებელი კანტორა საქართველოს დედაქალაქში ჩამოიტანს მოსახლეობისაგან შესყიდულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. გორიდან და ქარელიდან მიგიღებთ ვაშლს, გარდაბნიდან, მარნეულიდან — მწვანილს, ლაგოდეხიდან, ზუგდიდიდან — კაკალს, კიტრს, ახალქალაქიდან — კარტოფილს, ადიგენიდან — კომბოსტოს, ყველს. 120 ტონა ხორცს შევიტანთ ცეკავშირის სისტემის ძაღაზიებში. ასეთი ბაზრობები გაიმართება ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში.

(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ
380098, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-08, 99-03-09, ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66,10, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-20-34, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 99-18-70, ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 99-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ — 99-28-54, ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲒᲐᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ — 99-95-68.
ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ
ᲡᲝᲩᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲜᲣᲖᲒᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-69; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 22-44; ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲕᲘ — 25-82.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲖᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. კალიფორნიაში ხანმოკლე დასვენების შემდეგ ამერიკის დედაქალაქში დაბრუნებული პრეზიდენტი რეიგანი, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, შემდინარე კვირას დაუთმობს „კონგრესის ლიდერებთან და შეერთებული შტატების ნატოელი მოკავშირეების წარმომადგენლებთან შეხვედრებს, რომელთა დროს განიხილავენ საკითხს, თუ როგორი პასუხი გასცეს კრემლის წინადადებას ევროპაში განლაგებული ბირთვული იარაღის დიდი ნაწილისაგან ამ კონტინენტის განთავისუფლების შესახებ“.

სააგენტო აცხადებს, რომ რეიგანი „აღსავსეა ოპტიმიზმით იმის თაობაზე, რომ იგი და საბჭოთა ხელმძღვანელი მ. ს. გორბაჩოვი შეძლებენ მიაღწიონ შეთანხმებას შეიარაღების კონტროლის შესახებ და მოაწყობენ უმაღლესი დონის ახალ შეხვედრას მიმდინარე წელს შეერთებულ შტატებში“.

მაგრამ, როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, ვაშინგტონშიც და შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეთა შორისაც არ არის აზრთა ერთიანობა საბჭოთა კავშირის ბოლოდროინდელი ინიციატივებისა და მთლიანად შეიარაღების კონტროლის პროცესის მიმართ. ამ საკითხებზე კონგრესისა და ადმინისტრაციის უთანხმოება გამოხატა, კერძოდ, შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატთა ლიდერების მისწრაფებამ შეიტანონ იმ კანონპროექტის შესწორებები, რომელი ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას ბირთვული შეიარაღებისათვის, რათა პრეზიდენტ რეიგანს უბიძგონ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების დადებისაკენ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, დემოკრატებს განზრახული აქვთ ადმინისტრაციის მოთხოვნილ ასიგნებათა გამოყოფის პირობად წამოაყენონ ბირთვული გამოცდების შეწლუდვა ან ოფიციალური ვაშინგტონის ვალდებულება დაიცვას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით დაწესებული სტრატეგიული შეიარაღებების ლიმიტები. ამის პასუხად რეიგანის ადმინისტრაცია იმუქრება ყადაღის დადებას ასეთ საკონფლიქტოდ ინიციატივაზე, ხაზს უსვამს ასოშიეიტედ პრესი. „კონგრესი არ უნდა ერეოდეს შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესში, — მკვახედ განაცხადა თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა ბეიკერმა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს, ერთიანი სტრატეგიის შესამუშავებლად და ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირის მიერ წამოყენებული ახალი წინადადებების განსახილველად ვაშინგტონში ჩამოვიდა ნატოს მაღალი თანამდებობის სამხედრო ექსპერტების ჯგუფი. ნიშანდობლივია, რომ მისი თავმჯდომარეა „მკაცრი კურსისა“ და ძალის პოზიციიდან პოლიტიკის განხორციელების ისეთი თავგადმოდებული მომხრე, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანამშემწე რიჩარდ პერლი.

ექსპერტებმა უკვე მოაწყვეს წინასწარი კონსულტაციები ბლოკის ბირთვული პოლიტიკისა და მოსკოვში საბელმწიფო მდივნის შულცის მოლაპარაკების შედეგების გამო.

კონსულტაციათა ამერიკელი მომწყობნი აშკარად ისახავენ მიზნად ნატოელი პარტნიორებისათვის საკუთარი პოზიციების თავს მოხვევას იმის წინ, ვიდრე 28 აპრილს ბრიუსელში გაიმართება ნატოს სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განიხილება საბჭოთა კავშირის წინადადებები საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

ტოკიო. უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე ღრმა კრიზისმა მოიცვა იაპონიის პარლამენტი, სადაც მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია გუშინდლიდან თავგამოდებით ცდილობს ძალდატანებით დაამტკიცოს 1987 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სამთავრობო პროექტი.

სარგებლობენ რა თავიანთი რიცხობრივი უპირატესობით, კონსერვატორებმა ამ მიზნით 21 აპრილის გვიან საღამოს ცალმხრივი წესით მოიწვიეს ქვედა პალატის პლენარული სხდომა. ასეთმა ნაბიჯმა დიდად აღაშფოთა ოპოზიცია, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ხელს უშლის სახელმწიფო ბიუჯეტის სამთავრობო პროექტის დამტკიცებას. ეს ბიუჯეტი ითვალისწინებს სავაჭრო ოპერაციებზე ახალი გადასახადის შემოღებას.

ცდილობენ რა მოიგერიონ კონსერვატორთა შეტევა, სოციალისტებისა და კომუნისტების, ოპოზიციის ცენტრის სამი პარტიის ფრაქციებმა უკვე შეიტანეს, კერძოდ, რეზოლუციის პროექტი, რომელშიც უნდობლობას უცხადებენ კაბინეტის წევრებსა და გამოიყენეს კენჭისყრის გაჭიანურების ტაქტიკა. ამის შედეგად ქვედა პალატის სხდომა გრძელდებოდა მთელ ღამეს და აქამდე ჯიანურდება შესვენებებით მზარდი პოლიტიკური კონფრონტაციის ვითარებაში. როგორც კიოდო ცუსინის სააგენტოს მიაჩნია, „დეპუტატები უკიდურესობამდე გაწყალდნენ შეუსვენებელი მწვავე კამათით, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლანდელი დრამა პარლამენტში გაურკვეველი დროით გაჭიანურდება“.

პრემიერ-მინისტრმა იასუჰირო ნაკასონემ, გასცა რა ბრძანება სახელმწიფო ბიუჯეტის სამთავრობო პროექტის ძალდატანებითი დამტკიცების შესახებ, უკანასკნელი ხერხი იხმარა და ცდილობს აღადგინოს თავისი შერყეული პოლიტიკური პოზიციები, წერს გაზეთი „მაინიჩი“. მისი კაბინეტის აქციები მკვეთრად დაეცა მმართველი პარტიის დიდი წარუმატებლობის შემდეგ აპრილის დამდეგს გამართულ ადგილობრივი არჩევნების პირველ ეტაპზე, სადაც კონსერვატორებმა დაკარგეს 105 ადგილი თვითმმართველობის პრეფექტურებისა და მუნიციპალურ ორგანოებში. „ტერენი ასაჰი“ ტელეკომპანიის კომენტატორის აზრით, ნაკასონეს იმედი აქვს პარლამენტში ოპოზიციის წინააღმდეგობის დაძლევით ამჟამად აღიდგინოს „ძლიერი პიროვნების“ პოპულარობა ლიბერალ-დემოკრატთა თვალში და დარჩეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲐ ᲩᲐᲘᲨᲚᲐ

ბუენოს-აირესი. მარცხით დამთავრდა 250 ოფიცრისა და ჯარისკაცის ცდა წამოეწყოთ ახალი ამბოხება ქალაქ სალტის გარნიზონში, რომელიც არგენტინის დედაქალაქისაგან ჩრდილო-დასავლეთით 1600 კილომეტრზე მდებარეობს. მეამბოხეებს ექვსი საათის განმავლობაში ეკავათ აქ სამხედრო ბაზა. ისინი ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ იმ სამხედრო მოსამსახურეთა სასამართლო პროცესების შეწყვეტას, რომელსაც ბრალი მიუძღვით ადამიანის უფლებათა დარღვევასა და სხვადასხვა მოაზროვნეებთან ანგარიშსწორებაში სამხედრო დიქტატურის მართვა-გამგეობის დროს. მაგრამ ბაზის ჭიშკართან თავი მოიყარა სალტის ათასობით მცხოვრებმა, რომლებმაც არ დაანებეს პუტჩისტებს ქალაქში გამგზავრება. როგორც სალტის პროვინციის გუბერნატორმა რობერტო რომერომ განაცხადა, აჯანყებულები, მას შემდეგ, რაც მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ პოვეს, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ამბოხება და ჩაბარებოდნენ ხელისუფალთ.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას ასეთივე ბედი ეწია მემარჯვენე ოფიცრების ჯგუფს, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების მოწყობას ლამობდა.

არგენტინის კომპარტიამ ქვეყნის მოსახლეობას და პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა გაერთიანდნენ, რათა არ დაუშვან სახელმწიფო გადატრიალება ქვეყანაში. ამასთან ერთად მან შრომის საყოველთაო კონფედერაციას მოუწოდა მოაწყოს საერთო-ეროვნული გაფიცვა სამხედროთა პუტჩის ყოველგვარი ახალი ცდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაზეთების ცნობებით, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობამ სადღესოდ დანიშნა საგანგებო სხდომა, რათა დასახოს ღონისძიებები ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის დაცვის მიზნით.

ᲙᲝᲜ